საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირეთელი პოლიო

პოლიო ირეთელი

ირეთელი პოლიო (ნამდვ. სახელი და გვარი – პოლიევქტოს ანტონის ძე კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე) (9. I. 1876, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 10. IV. 1931, თბილისი), მწერალი.

სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც 1893 გარიცხეს რევ. საქმიანობისათვის. 1895–98 მასწავლებლობდა. 1899-იდან მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოში. 1901 დააპატიმრეს რევ. მოღვაწეობისათვის, ხოლო 1903 გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიის სოფ. ირეტში (აქედან მომდინარეობს ფსევდონიმი „ირეთელი").

მისი პირველი კორესპონდენცია (წერილი „ქადაგება ბორბალოში") 1895 გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნდა. 1899-იდან „კვალში" ბეჭდავდა სატირულ მოთხრობებსა და მინიატიურებს. იყო იუმორისტული ჟურნალების „შუამავლისა" (1908) და „სალამურის" (1911) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რედაქტორობდა ჟურნ. „სხივს" (1910). 1908 სცენაზე დაიდგა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ი-ის პიესა „დამარცხებულნი". მასვე ეკუთვნის პიესები: „ბედნიერი დღე" (1913), „პირველი ზარი", „ფოლადის კაცი" (1924), „ნიაღვარი" (1925), ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით გადაკეთებული „ქრისტინე" და „ჩვენი ქვეყნის რაინდი" (სათაურით „სოფლის გმირები").

1921-იდან ასევე თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „მნათობი", „ტარტაროზი" და „ნიანგი", თარგმნილი აქვს ლ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა" (1904, "ივერიის პრემია").

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1946; კედელი. მოთხრობები. მოგონებები. პიესები, თბ., 1964.

ვ. ცისკარიძე